ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-0119151258**
თარიღი: **31/05/2019**
პინი: **0292**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2019 წლის 29 მაისის N 17-01191492518-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა N22/ ბელიაშვილის ქუჩა N68ა-ში (ს/კ N 01.13.02.010.090) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების საკითხს (AR1670048), გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. მიუხედვად იმისა, რომ ანგარიში შეიცავს ხარვეზებს და უზუსტობებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

დღეისათვის საპროექტო ტერიტორიის **საზოგადოებრივი ტრანსპორტით** მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია, ლუბლიანას ქუჩა, მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ **საქვეითო ინფრასტრუქტურა** მოსაწესრიგებელია. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ არის ტროტუარი და საქვეითე გადასასვლელი საპროექტო ტერიტორიისკენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის უახლოესი გაჩერებებიდან, რისი მოწყობაც რეკომენდებულია. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზეც რეკომენდებულია ტროტუარების და საქვეითე გადასასვლელების მოწყობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ზოგიერთ მიმდებარე კვანძზე შეინიშნება გადატვირთულობა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის და საქვეითო მისაწვდომობის გაუმჯობესება შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის მნიშვნელოვნად გაზრდას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, თავის კომპეტენციის ფარგლებში და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა²“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული პროექტის შეთანხმების (AR1670048) წინააღმდეგი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01191364572**
თარიღი: **16/05/2019**
პინი: **3948**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 6 მაისის # 17-01191262994-18 წერილი (AR1670048; IV კლასი) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე დიმიტრი გოხელაშვილის მომართვის საფუძველზე, შპს „დენმარკ ჰაუსის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. N22, აკაკი ბელიაშვილის ქ. N68ბ ს.კ. #01.13.02.010.090) მრავალმრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე დასარგავი 25 ძირი კავკასიური ცაცხვი, 8 ძირი ირმის რქა, 10 ძირი ოქროსფერი ტუია, 4 ძირი გართხმული ღვია და 6 ძირი თეთრი ვარდი **სრულად ითვისებს** (კ3-0.2) გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (565.5 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

შესაბამისად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დაამტკიცოს გამწვანების პროექტი.

დამატებით მოგახსენებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი